წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — ოთხშაბათი, 1[illegible] მაისი 1916 წ. — № 110

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა

## ჟოზეფ რები

რასაც ულრმესის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **დიმიტრი კალატოზიშვილის ასული მარგალიტა.**

გამოსვენება მოხდება დღეს, 18 მაისს, (წყნეთის ქუჩა № 53) ნაშუადღევის 3 საათზე.

განსვენებულის ნეშტის დასაკრძალავად წაასვენებენ კათოლიკეთა სასაფლაოზე.

---

21 მაისს, შაბათს, სოფელ ძიმითის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## გიტო ალექსანდრეს ძის გოთუას

სულის მოსახსენებლად, რასაც მეუღლე მისი შვილებითურთ, დედა, დები, ძმა და ბიძაშვილები აუწყებენ გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთ.

1—188—1

---

ბარნა, რაფაელი და რაჟდენი გამსახურდიები უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი მამისა

## გიორგი ტოტის ძე გამსახურდიასი,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ოთხშაბათს 18 მაისს ს. ნოსირში.

(2—186—2)

---

**კვირას, 22 მაისს, ქართულ კულტ. მოყვარ. საზოგადოების თაოსნობით პატივსაცემლად განმეორდება**

## შიო მღვიმელის
## საბავშვო დილა

იმავე პროგრამით, როგორითაც გაიმართა 14 თებერვალს სახაზინო თეატრში ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში.

(100) **ფასები ჩვეულებრივია.**

---

## ახალი კლუბი

კვირას, 22 მაისს

## ქრისტეფორე (ჩიტო) კაკანაძე

ქართულად წაიკითხავს **ლექციას** „ისტორია საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიისა“

**დასაწყისი შუადღის 12 ნახევარ საათზე**

ბილეთები იყიდება „საქართველოს“ რედაქციაში, 10—2 საათამდე, ხოლო ლექციის დღეს ახალ კლუბის შესავალთან, დილის 10 საათიდან.

**ბილეთის ფასი 50 კ.-დან 3 მანეთამდე** — გამგე **სანდრო შანშიაშვილი**

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხაილოვის პროსპექტი № 131.

**ხუთშაბათს, მაისის 19-ს გაიმართება**

## დიდი სეირნობა

**მრავალფეროვანის პროგრამით. ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ნივთიერად გასაძლიერებლად.**

სამხედრო მუსიკა, საზანდარი, ზურნა, მომღერალთა გუნდი (ქართულ ეროვნულ ტანისამოსით გამოწყობილი), „ტამბოლა“ (ძვირფასი ნივთებით). სხვა და სხვა გასართობი: პტიშვო, მაშხალებით სიარული, იაპონური პტიშვო, ამერიკულ რგოლებში, კონფეტები, ნახატი, კიოსკები, ფოსტა, მკითხავის კარავი, სეირნობა: აქლემებით, ცხენებით და სახედრებით, კნოუნები და სხვა. „ჭიქა ჩაი“ ესტარდაზე, ცეკვა (სხვა და სხვა ეროვნებათა).

**დივერტისმენტი** სხვა და სხვა პროგრამით.

**დასაწყისი 4 საათზე.** — სეირნობის გამგე კნეინა **ან. ნიკ. ბეჟთაბეგიშვილისა.**

---

## წაღვერში

**სადგურის მახლობლად, საუცხოვო ადგილას მჟავე წყლის ახლოს,**

## ხაჩიძის აგარაკში

მშვენიერ შენობის ზემო სართულში ვიყვან პანსიონერებს მეტად შელავათიან პირობებით.

10—101—1 — პანსიონის გამგე **მარიამ ჟვანია.**

---

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასშ**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) — **ტელეფონი 5—96.**

## გამოვიდა გაზ. „საქართველოს“ პრემია
# მერანი

წიგნი I.

**გაზ. „საქართველოს“ თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.**

**ცალკე გასასყიდად „მერანი“ ღირს 2 მანეთი.**

### პრებულში მოთავსებულია:

1. **სანდრო შანშიაშვილი**—სალამური.
2. **ი. გრიშაშვილი**—რა კარგი ხარ...
3. **კ. მაყაშვილი**—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. **ინ-ბან**—ცხოვრების მგზავრი. წაგართვი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. **ს. შანშიაშვილი**—ბერდო ზმანია.
6. **შიო მღვიმელი**—მუდამ სევდიანს.
7. **ვ. რუხაძე**—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. **გ. ქუჩიშვილი**—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. **ლეო ქიაჩელი**—მუხა და ტირიფი.
10. **დ. კასრაძე**—ღვირღვა.
11. **ალ. ყაზბეგი**—დარო.
12. **ტრ. რამიშვილი**—ჭკუა მხიარული.
13. **დიმიტრი არაყიშვილი**—თავისუფალი მარში (ნოტებზე).

**წიგნი დასურათებულია მხატვარ ვალიკო ხიდაშელ-ერისთავის მიერ.**

წიგნში ჩართულია 4 სურათი სიპ ქაღალდზე და 16 სურათი ტექსტში.

---

# მოდის მაღაზია
## მ. ბაშარულისა

**სასახლის ქუჩაზე**

იყიდება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

## მხოლოდ ევროპიული

(—83—)

---

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

[illegible]

## კახური ღვინო

**განოვის ქუჩა № 4.**

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

---

## სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.

წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—4)

---

[illegible]

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

---

ს. ზესტაფონში

## ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

---

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

---

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126— )

---

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იყიდება საუკეთესო კახური ღვინოები** (112—წ.)

---

**კბილის ექიმმა**

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

**ექიმი**

## ა. დ. შაჰაგაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

---

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახ. [illegible] მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

---

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 16 **მაისი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** რიგის აღმოსავლეთით, კურტენჰოფის მიდამოებში მოპირდაპირემ რკინის გზის ლიანდაგს ცეცხლი გაუჩინა. ჩვენი მფრინავები მარჯვედ ესროდნენ ელექტრონის სადგურს, კომას დაბაში, ნაროჩის ტბის ჩრდილო-დასავლეთით.

**კავკასიის ასპარეზი.** რევანდუზთან ბრძოლა გრძელდება. ქურთები შეეცადნენ ჩვენს სასურსათო ურმებს თავს დასხმოდნენ, მაგრამ მალე გავფანტეთ. ყაზახთა ჯგუფი ჩუმად მიუახლოვდა ქურთების ბანაკს სოფ. ზოვასთან და 150 ქურთი ამოსწყვიტა.

—

**პარიზი,** 15 მაისი. საღამოს ოფიციალი ცნობა. შამპანში, ჩვენმა არტილერიამ მტრის ყუმბარათა საწყობი ააფეთქა ვილ-სიურ-ტურმის მიდამოებში. მორტჰომის მიდამოებში, მაასის მარჯვენა ნაპირზე და აგრეთვე ტიომონის ფერმის დასავლეთ უბნებში საშინელი საარტილერიო ბრძოლაა. მთელი დღის განმავლობაში ქვეითა ჯარი სრულებით არა მოქმედობდა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში დრო გამოშვებით არტილერია მოქმედებს.

**რომი** 15 მაისი. ლაგორინოს ველებში მტერი რამდენჯერმე შეეცადა იერიშებით წინ წაწევას, მაგრამ ამაოდ. 13 მაისს, საღამოთი რიო კამერესის სამხრეთით, მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ბუოლეს მიმართულებით 14 მაისს დილით მტერი სამჯერ იერიშით წამოვიდა, მაგრამ მოვიგერიეთ ასტიკოს ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა. რამდენიმე ადგილას მტრის რაზმები გავფანტეთ. ასიაგოს მიდამოებში 14 მაისს, მტერი დიდი ძალებით მოიწევდა ასის ველის აღმოსავლეთ ნაწილებისკენ, აგრეთვე კალმარარის ველზე 15 მაისს მასოს წყაროს დასავლეთით 157 ჯარის კაცი დავატყვევეთ.

ჰუნგრელთა 8 ბატალიონი გავაქციეთ და 300 თოფი ხელთ ვიგდეთ. სენმიჯელის მიდამოებში, პატეონის აღმოსავლეთით მოპირდაპირის თხრილები ნაღმით ავაფეთქეთ.

**ლონდონი**, 15 მაისი. ინგლისის ცნობა. გუშინ ღამით, ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერმა იერიშები მოიტანა კოლონის აღმოსავლეთით, ვერც ერთმა ჯარისკაცმა ვერ მოაღწია ჩვენს თხრილებამდე. ეგიუტერნის ახლოს, მზვერავნი გავაქციეთ. დღეს, დილით ადრე მოპირდაპირემ საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა ზელებეკეს დასავლეთით. ბრძოლის დროს ხმარობდა მხრჩოლავს ბოლს და მედგრად ესროდა ჩვენი ჯარის შემაერთებელ თხრილებს. გერმანელებმა ნევილ-სენ-ვაასტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დოოსის აღმოსავლეთით ნაღმით ააფეთქეს ჩვენი თხრილები.

**ათინა**, 16 მაისი. მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა ბულგარელების მიერ რუპელის დაჭერის გამო.

**ჰავრი**, 15 მაისი. ბელგეთის ცნობა. ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლაა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რიგის ასპარეზი.**

„რუს. ინვალ." იტყობინება: როგორც ვგებულობთ გერმანელები დვინის ასპარეზზე დიდ მზადებაში არიან: მრავალ ადგილას რკინის გზები გაჰყავთ, სურსათის და ჯარის გადასაყვანად. გარდა ამისა დიდ მნიშვნელობას აძლევენ მავთულის ხლართს. დვინის ხაზით 10—12 მავთულის ხლართია გაკეთებული, მათ შორის ორი ხაზის ხლართში ელექტრონის ძალაა გატარებული. გერმანელები მომეტებულ ნაწილად ღამე მუშაობენ. გერმანელებს ამ ადგილებში მხოლოდ იმისთვის მოაქვთ იერიშები, რომ უნდათ რაც შეიძლება ძლიერ გამაგრდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იკსკიულის მიდამოები გერმანელებისათვის ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენს, მაინც რაღაც მოსაზრებით გერმანელები ამ ადგილს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. თუმცა გერმანელებს არ გაუჭირდებათ საჭირო დროს ამ ადგილებში საჩქაროდ ჯარს თავი მოუყარონ. ამ შემთხვევაში მათ დიდ სამსახურს გაუწევს მიტავა—კრეიცბურგის რკინის გზა.

**პაშიჩის აზრი.**

[illegible] ბია: ჩემის აზრით გერმანელები ახლო მომავალში სალონიკშიც ამოქმედდებიან. ამ უკანასკნელ დროს გერმანეთი ბალკანეთში დიდ მზადებაშია, რასაც ღირსშესანიშნავი ამბები უნდა მოჰყვეს. ეტყობათ აქ სამოქმედოთ გერმანელ-ბულგარელებს შემუშავებული გეგმა აქვთ, რასაც მოკავშირენი მზად უნდა დაჰხვდნენ. საჭიროა მოკავშირეთ ამ ადგილას მეტ ჯარს მოუყარონ თავი, რადგანაც საშინელ ბრძოლის წინ ვდგევართ. სერბეთის ჯარი კორფუდან სალონიკში იგზავნება და იქ იყრის თავს.

**ჰინდენბურგის განკარგულება.**

ბაზელიდან იტყობინებიან: ჰინდენბურგმა შემდეგი ბრძანება გასცა: ჯარში ხმა გავრცელებულა, ზავზე ლაპარაკი დაიწყოვო. ამ გვარი ხმები სიმართლეს არ შეესაბამება და ჯარზე მავნე გავლენას იქონიებს. იმპერატორის სახელით ვაცხადებ, რომ შეუძლებელია ზავზე ლაპარაკი, ვიდრე ჩვენ მდ. დვინას არ გადავლახავთ. ჯარის კაცნო, თუ თქვენ ეძიებთ ზავს, გასწით წინ და დვინის მეორე ნაპირზე ჰპოვებთ მას.

**საიმპერიო კანცლერი ზავის პირობების შესახებ.**

ბეტმან-ჰოლვეგმა, „Nev-Jork. Yorld"-ის კორესპოდენტს განუცხადა: ამაოდ ასახელებთ გერმანეთს, მილიტარისტული სახელმწიფო სწორედ ინგლისია. მე ვკვირობ თუ გერმანეთის მოპირდაპირენი რად ადარებენ პრუსიისა და გერმანეთის სხვა მოკავშირეთ. გერმანეთის იმპერია, წარმოადგენს მთლიან სხეულს და თუ გსურთ პრუსიის მილიტარიზმი მოსპოთ, ეს გერმანელ ხალხის განადგურება იქნება. დღეს, გერმანიისთვის მხოლოდ ისეთი ზავია შესაძლებელი, რომელიც რეალ ფაქტებზე იქნება დამყარებული, სამხედრო მოქმედებათა იმ რუქის მიხედვით, რომელსაც საზავო მოლაპარაკება მოუსწრობს.

**აბაშეთი.**

აბაშეთის ქალაქ ადის-აბებაში, 5 მაისს ღამით შეთქმულობა მოხდა, იტალიის ელჩის მოკვლა სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. დამნაშავენი მიიმალნენ. შეთქმულობას გერმანელებს აბრალებენ. მისიამ ყოველი ღონისძიება მიიღო ელჩის დასაცავად.

**რუმინეთი**

განსაკუთრებულის ზეიმით იდღესასწაულეს რუმინელებმა 10 მაისი, რომელიც აღნიშნავს მათი დამოუკიდებლობის ერთი წლის თავს. ადგილობრივი გაზეთები დიდი ქებით მოეპყრნენ ეროვნულ დღესასწაულს და აღნიშნეს მისი დინასტიური ხასიათიც. მხოლოდ Adewerne"-მა განაცხადა: ერს, ჯერ კიდევ არ განუხორციელებია თავისი იდეალი იგი მხოლოდ მოთმინებით მოელის სანატრელ დღის გათენებას.

**ირლანდიის ავტონომია.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ასკვიტმა წინადადება მისცა პარლამენტს, აღადგინოს ირლიანდიის ავტონომია და მისი ეროვნული იდეალი განხორციელდეს. ასკვიტის განცხადებას დიდის აღტაცებით შეჰხვდნენ, როგორც პარლამენტში, ისე ირლიანდიაში.

**ავსტრიელები წინ იწევენ.**

ავსტრიელები წინ იწევენ და უკან ახევინებენ იტალიელებს. როგორც „ბირჟ. ვედ." საკუთარი კორესპონდენტი იუწყება ერცჰერცოგ კარლოს-ფრანც-იოსების, გენერალ კევეშის და სხ. არმია, დღეს იტალიის მიწაზე იმყოფება საზღვრებიდან 8 ვერსის დაშორებით. შუაგული და უმთავრესი ჯგუფი ავსტრიელებისა მედგრად ესროდა სახელოვან არსიეროს სიმაგრეს. ამით ჰსურდა მას, ვენეციისაკენ გზა გაეკაფნა და იძულებულ ეყო გენერალისიმუსი კადორნი იზონცოს ჩრდილოეთიდან უკან დაეხია. როგორც ბეჭდვითი ბიურო იუწყება, ერცჰერცოგი მხოლოდ იერიშებს აწარმოებს, ბოროევიჩის არმია კი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ჯგუფდება და სწადიან სკიოს მაღლობის დაჭერა.

როგორც „National Zeitung"-ის კორესპონდენტი იუწყება, ავსტრიის მაღალ წრეებში ჰფიქრობენ ვენეციის ოლქი „სახელმწიფო ბუფერად" აქციონ.

**სამხედრო სამსახურის გაგრძელება ოსმალეთში**

ახალი ბრძანებით, ყველა 50 წლიანი სათადარიგო ოსმალო ჯარის კაცი, კიდევ ერთი წლით იმსახურებს მომქმედ ჯარში.

**პოლონეთში**

ვენურ ორგანო „Kartografishe Zeitshrift"-ში მოთავსებულია პროფესორ რატჰაუზის წერილი, რომელიც პოლონეთის საკითხს ეხება. მისი აზრით ავსტრიის მფლობელობაში დარჩება: ლიუბლინის გუბერნია ვისლის აღმოსავლეთიდან ხოლმშჩინა, ვისლის დასავლეთ ნაპირებზედ კი—რადომის, კელეცის და პეტროკოვის გუბ. გერმანელთა ხელში კი დარჩება: კალიშის ვარშავის, ლომჟის, სედლეცის, სუვალკის გუბერნიები და ნაწილი პეტროკოვის გუბერნიისა.

ავსტრიელები 27 მაზრას შეიერთებენ: ა) ლიუბლინის გუბერნიის 10 მაზრა, ხოლმის გუბ. როგორც მთლიანი ერთეული აღარ არსებობს, ბ) 7 მაზრა რადომის გუბ. გ) 7 მაზრა, კელცის გუბერნიისა და დ) 3 მაზრა პეტროკოვის გუბერნიისა.

პეტროკოვის გუბერნიაში ავსტრიელებმა დაიჭირეს: ნოვო-რადომი, პეტროკოვის მაზრა, და დობროვოს ნაწილი (ვარშავ-ვენის რკინის გზის დასავლეთით, დომბროვოს მაზრა გერმანელების ხელშია).

ომის დაწყებამდე, პოლონეთის და ავსტრიის შორის მიმოსვლა, მხოლოდ საზღვრის სადგურით შეიძლებოდა. ახლა კი შემდეგი გზებია: ა) კრაკოვიდან—გალიციაში, ბ) ტარნოვიდან—შჩუჩინაში, გ) ტარნობრეგიდან ოპტოვამდე, დ) როზვადოვიდან კრასნიკ—ლიუბლინამდე, ე) რავი—რუსკიადან, ბელჟეციო,—ლიუბლინამდე, ვ) ბოლოს, სოკალიდან. ვლადიმირ-ვოლინსკით კოველამდე. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ეხლახანს ავსტრიამ და გერმანეთმა მიწები გასცვალეს და გერმანეთს ერგო ქვანახშირიანი ადგილები; პროფ. რატჰაუზის აზრით, ეს დანაწილება თუმცა დროებითია, მაგრამ მეტად საფუძვლიანია.

**მიცკევიჩის სამშობლო.**

ნოვოგრუდკაში (მიცკევიჩის სამშობლო) გამოდის გერმანული გაზეთი „Novogrodeker Zeitung". აქვეა მოძრავი თეატრი: „Deutsche Teater für Polen".

# ბრძოლის ველზე

ამ უკანასკნელი სამი-ოთხი თვის განმავლობაში ბრძოლის ყველა ასპარეზი ვერდენმა დაჩრდილა, რომელიც უბედურების ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცა. ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ ვერდენის აღების შედეგი რომ პირდაპირ განუზომელია ეს ცხადია ყველასთვის, ვისაც მოეხსენება რომ ვერდენი საფრანგეთის პირველ ხარისხოვან ციხე სიმაგრეთა შორის უპირველესი ბურჯია, რომელზედაც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუზოგველად იხარჯება საფრანგეთის საინჟინერო მეცნიერებისა და ხელოვნების გენიოსობა. ვერდენის აღება პირველ ყოვლისა საფრანგეთის მორალური სიმტკიცის სრული განადგურება იქნება და მორალურად მოკლული ქვეყანა ყელთამდე ტყვია-წამალში რომ ჩასვა მაინც ვერას გახდება. ყველაზე უკეთ ამას თვით გერმანეთი ვარაუდობს, რადგანაც მან აქტიურ ბრძოლაზედ ხელი აიღო ბრძოლის სხვა და სხვა ასპარეზზე და ეს მეოთხე თვეა მთელის თავის ძალღონით ვერდენს ებრძვის. ფრანგებისთვის გასული სამი თვე საშინელი განსაცდელის ხანა იყო, ხოლო ეს უკანასკნელი დღეები პირდაპირ უმწვერვალესი სულისკვეთების დღეებია. მოკავშირეებმა ამ ხნის განმავლობაში ვერსად ვერ გააჩაღეს სერიოზული ბრძოლა, რომ გერმანელთა სამხედრო შტაბის და ჯარების ყურადღება და ძალა დაექსაქსათ. ამ მხრივ ფრანგებისთვის შველა ვერავის ვერ გაუწევია.

ასეთი საყვედური, რომელსაც შეხვდებოდით პრესაში, სრულიად სამართლიანი არ არის. მაგ. რუსებმა არა ერთხელ სცადეს ფართე იერიშები, მაგრამ ყოველთვის დიდი ზარალის შემდეგ უკუგდებულ იქმნენ. და ბოლოს გამოირკვა, რომ გერმანელების გამაგრებული პოზიციების აღება და გერმანელთა ჯარებთან პირისპირ შეხვედრა შეუძლებელი იყო, უკეთუ რუსეთის სამხედრო შტაბი საიერიშოდ აუარებელ მსხვერპლს არ გასწირავდა. და ასეთი მსხვერპლის წინაშე შესდგა რუსეთიც, ეს ხალხითა და მეომრებით მდიდარი ქვეყანა ამნაირად საფრანგეთი დარჩა მარტოდ მარტო, თვის საკუთარი ძალის ამარა და თან და თან ირკვევა, რომ ეს ძალა საკმარისი არ არის ვერდენის დასაცავად. რუსეთ-გერმანეთის ფრონ- [illegible] კვლავ გერმანელებმა გამოიჩინეს. მთავარი ყურადღება აქ რიგა-დვინსკზე არის მიქცეული. ყველაფრიდან სჩანს, რომ გერმანელები აქ დიდ ოპერაციებისათვის ემზადებიან. აუარებელი ზარბაზანი და სხვა საომარი მასალა ლიბავაში გაუწყვეტლივ გადმოაქვთ და ბრძოლის პირზე იგზავნება. სხვაგან თუ მდგომარეობა არ გართულდა, ამ მოკლე ხანში აქ დიდ ამბებს უნდა მოველოდეთ. რუსეთ-გერმანეთის ფრონტისთვის განუზომელი მნიშვნელობა ექნება რუმინეთის სამხედრო გადაწყვეტილებას. უკანასკნელ დღის ცნობებიდან ირკვევა, რომ რუმინეთი საერთო მობილიზაციისთვის ემზადება და რომ მისი სიმპატიები ჯერ-ჯერობით გერმანეთისაკენ იხრება.

კავკასიის ასპარეზის შესახებ გუშინდელმა დეპეშამ რევანდუზის ამბავი მოგვიტანა. რუსებს აქ მოუგერებიათ ქურთების რაზმი და შეტევის განგრძობას ცდილობენ. სხვა უფრო საინტერესო ადგილებისა და მიმართულების შესახებ ცნობა არც გუშინ მოსულა.

X.

**თბილისი, 18 მაისი**

**ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი**

ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც თბილისში შესდგა შაბათსა და კვირას, აშკარად დაამტკიცა რომ ეკონომიური საქმიანობაც ეროვნულ ხასიათს იღებს ჩვენში. მართალია გარეგნული ფორმა, კავშირისა საერთა-შორისოა მართალია მასში სხვა და სხვა ერის კოოპერატივების წარმომადგენლები წევრებად შედიან, მაგრამ არსებითად ეს კავშირი მაინც უფრო ქართული დაწესებულება იქნება უეჭველია. მისი მთავარი ხელმძღვანელები ქართველები არიან. კოოპერატივთა რიცხვიც საქართველოში ბევრად მეტია ვიდრე სხვაგან სადმე ამიერ კავკასიაში. როგორც კავშირის ანგარიშებიდან სჩანს, თბილისის გუბერნიაში 91 მომხმარებელი საზოგადოება ყოფილა, ქუთაისისაში 163, ბათომის ოლქში 7, ამიერ კავკასიის დანარჩენ გუბერნიებსა და ოლქებში ერთად კი მხოლოდ 87. ამგვარად საქართველოში თითქმის ოთხჯერ მეტი კოოპერატივი მოქმედებს, ვიდრე სომხების, რუსებისა და თათრების მიერ დასახლებულ პროვინციებში. მომავალში, უეჭველია, კიდევ უფრო გაძლიერდება ეს ტენდენცია, რომელიც ქართველების უპირატესობას ააშკარავებს: მარტო ქუთაისის გუბერნიაში ორმოცამდე ახალი მომხმარებელი საზოგადოება უნდა დაარსდეს ახლო მომავალში.

ეს გარემოება მოწმობს რომ ქართველი დემოკრატია ამიერ კავკასიაში მეთაურობს არა მარტო პოლიტიკაში, არამედ კულტურულ და ეკონომიურ საქმიანობაშიაც. ის ეროვნულ ბეჭედს აჰდობს ისეთ ორგანიზაციებსაც კი, რომელნიც პირველი შეხედულებით თითქო საერთაშორისო ნიადაგზე სდგანან. მართლაც არც მომხმარებელ საზოგადოებებს, არც წვრილ კრედიტის დაწესებულებებს არ ძალუძთ სავსებით ეროვნულ იდეოლოგიის გარეშე დგომა. ერთიც და მეორეც მოწოდებულია ჩვენი სოფელი მევახშეობის კლანჭებისაგან გაანთავისუფლოს, გლეხობას იაფ ფასიანი სურსათი და იაფ-ფასიანი კრედიტი მიაწოდოს: საქართველოს მევახშე კაპიტალი არსებითად უცხო ელემენტების ხელშია. ეს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოზე ითქმის. ამიტომ კოოპერაცია და წვრილი კრედიტი ჩვენი შეხედულებით ასრულებენ დიდს დემოკრატიულ და დიდს ეროვნულ მისიასაც.

კრებამ ზედამხედველი საბჭო აირჩია. ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით რომ კულტურულ და ეკონომიური ხასიათის ორგანიზაციებში არ უნდა შევიტანოთ პარტიული ქიშპობა. იმედი გვაქვს რომ საბჭოს წევრებს თავის მოქმედებაში საქმის ინტერესებით იხელმძღვანელებენ და თავის პირდაპირ დანიშნულებას არ უღალატებენ.

# † ჟოზეფ რები

გუშინ წინ 16 მაისს თავის ბინაზე, წყნეთის ქუჩა № 53, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჟოზეფ რები, 36 წლისა. განსვენებულს მეუღლედ ყავდა ჩვენი თანამემამულე ქალი, დიმიტრი კალატოზიშვილის ასული, მარგარიტა. 1914 წელს ადრე გაზაფხულზე ბ-ნი რები თავის მეუღლითურთ პარიზიდან საქართველოში ჩამოვიდა. ომის გამოცხადების შემდეგ იძულებული შეიქმნა თავის საყვარელ პარიზში დაბრუნებისთვის თავი გაენებებინა და დროებით თავის თანამდებობასაც ჩამოშორებოდა. მთელ აქ ყოფნის დროს გარდა წმიდა სამეცნიერო მუშაობისა განსვენებული აძლევდა ფრანგული ენის გაკვეთილს აქაურ საშუალო სასწავლებელში.

ჟოზეფ რები დაიბადა საფრანგეთში, კორეზის დაბა-შამბრეში. მიიღო ისტორიკო-ფილოლოგიური განათლება. განსაკუთრებით ენათა-მეცნიერებას დაეწაფა და გაათავა პარიზის აღმოსავლეთურ ენათა უმაღლესი სასწავლებელი. შემდეგში დაინიშნა ამავე სასწავლებლის ბიბლიოთეკრად. ცოტა ხნის შემდეგ აწ განსვენებული დაინიშნა საფრანგეთის საგეოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკრად. იცნობდენ ლინგვისტებ შორის. განსვენებული ლაპარაკობდა ყველა ევროპიულ ენაზე. იცოდა სანსკრიტული და სპარსული. დასპეციალდა კავკასიურ ენებში. დასწერა რამდენიმე გამოკვლევა ქართული და სომხური ენების შესახებ. საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს დავალებით განსვენებულმა რამოდენიმე სამეცნიერო მისია შეასრულა კავკასიური ენების შესასწავლად. ამ მისიების დროს აწ განსვენებულმა დიდძალი მასალა შეაგროვა, რომლის დალაგება და გამოქვეყნება სამწუხაროდ არ დასცალდა.

განსვენებულმა ამ ბოლო დროს ერთი წერილი ქართული ზმნების შესახებ გაზ. „საქართველოში" დასტამბა.

არჩეული იყო პარიზის უმაღლეს სწავლათა სასწავლებლის სომხური ენის კათედრის კანდიდატად. სამწუხაროდ არ დასცალდა უკან დაბრუნება და ამ თანამდებობაზე სამეცნიერო მოღვაწეობის გაწევა

როგორც ნამდვილი ფრანგი პატრიოტი, იგი მთელი არსებით განიცდიდა საფრანგეთ-გერმანეთის ბრძოლის პერიპეტიებს. სიკვდილის წუთებშიც ომის უკანასკნელ ამბებს კითხულობდა და გერმანეთისადმი შური და ბოღმა საფლავში თან წაიღო. დღეს, 18 მაისს განსვენებულს კათოლიკეთა სასაფლაოზე ჰკრძალავენ. საქართველოს მიწამ სამშობლოს მაგიერობა უნდა გაუწიოს. თბილად სიყვარულით მიიღებს იგი თავის უბეში საფრანგეთის შვილს ჟოზეფ რების, რომელიც დიდი მოყვარული იყო ქართული კულტურისა და გულწრფელი მეგობარი ქართველი ერისა.

ს. კ.

# ჩვენ ჩვენის გზით

ქართველებს და მუსულმანებს საერობო თათბირზედ გარკვეული და აშკარა პოზიცია ეკავათ. ორივე ეროვნების საზოგადო მოღვაწეთ ნათლად ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ერობა ჩვენი კუთხისთვის; მასთანვე კარგათ უწყოდენ ვისთანაც ჰქონდათ საქმე და რის მიღებაც შეიძლებოდა დღევანდელს პირობებში. ამის და მიხედვით მათ მოითხოვეს 1890 წ. ერობა, რომელიც რუსეთში დიდი ხანია არსებობს, იმ აუცილებელის ცვლილებით რომელსაც მოითხოვდა ადგილობრივი პირობების სპეციფიურობა.

ლაპარაკი იმაზედ, ვარგა თუ არ ვარგა, დემოკრატიულია 1890 წლის ერობა, თუ არა დემოკრატიული ზედმეტი იყო, არა იმიტომ თითქოს ეს ერობა სავსებით აკმაყოფილებდეს ამიერ კავკასიის მოთხოვნილებებს. ქართველებმა და მუსულმანებმა იმიტომ არ წამოაყენეს უფრო ლიბერალური და დემოკრატიული ტიპის ერობა, რომ მთავრობას არავითარი საბუთი არ ჰქონიყო, ეხლაც ისე მიეჩქმალა ეს ყოვლად საჭირო რეფორმა, როგორც წინეთაც. ამას მოითხოვდა პოლიტიკური ტაქტი და დღევანდელი პირობების ცოდნაც. ამას ეწოდება რეალური პოლიტიკის ქმნა.

რეალური პოლიტიკა არის პირველ ყოვლისა ზრუნვა და საქმიანობა შესაძლებლობის ფარგალში, დღევანდელ დღისთვის. რეალურ პოლიტიკის მიმდევარნი ჰპანს ეწევიან მხოლოდ იმისათვის რის გაკეთება, განხორციელება შეიძლება დღეს არსებულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში.

დიდი ხანია, რაც ჩვენი ქვეყანა შეურიგებელი უკიდურესობისა და ძირითადი გარდაქმნის დროშას აფრიალებდა. აუარებელი ენერგია სწორეთ ამგვარ ბრძოლას შევალიეთ. რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ასეთი პოლიტიკური წესი, ეს უკვე ყველას კარგად მოეხსენება. თითქმის უნაყოფოდ შეწირულმა უთვალავმა მსხვერპლმა გონს მოგვიყვანა და გასაკვირველიც არ არის, რომ ქართველობა თან და თან შორდება შეურიგებელ პოზიციონერობის ტაქტიკას და რომ ისეთ საკითხში, როგორიც ერობა არის, რეალურ პოლიტიკას დაეყრდნო.

რუსეთის ინტელიგენციის ლიბერალურმა ნაწილმა დაჰგმო ქართველების და მუსულმანების პოზიცია საერობო თათბირზე. ჩვენ ისინი დემოკრატიული პრინციპების ღალატს გვიკიჟინებენ. ბევრი მოსაზრების ძალით რუსის ინტელიგენციას არ შეეძლო ასე არ მოქცეულიყო.

ჩვენსა და რუსის ინტელიგენციის შორის ისეთივე განწყობილება მყარდება, როგორიც დამყარდა პოლონელ ინტელიგენციასა და რუსის ინტელიგენციას შორის. ჩვენსავით, პოლონელებიც ერთ დროს მთელ თავიანთ იმედებს რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაზედ ამყარებდენ: მათ, ჩვენსავით სჯეროდათ, რომ პოლონეთის საჭირბოროტო საკითხებს რუსეთის პროგრესიული ნაწილი ასე თუ ისე გადასჭრიდა, მაგრამ მოსტყუვდნენ. რუსის ინტელეგენციამ არც მოინდომა და ვერც შესძლო ეს. პოლონელებმა თავიანთი შემცდარი აზრი თავიდან მოიშორეს და რუსის ინტელიგენციასთან არც კავშირის გაწყვეტას დაერიდნენ, რომ მარტოოდენ საკუთარის ძალღონით შეეძლოთ მოევლოთ და განეგოთ თავისი ქვეყნის ბედი. ამ გზას დაადგა პოლონელების კოლო, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში ყოველ გვარ საკითხს მხოლოდ პოლონეთის ინტერესების თვალსაზრისით აშუქებდა. ხშირად მომხდარა, რომ კოლოს თავი შეუკავებია, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია რომელიმე კანონ-პროექტის განხილვის დროს მხოლოდ იმიტომ, რომ პროექტი ეხებოდა რუსეთს და არა პოლონეთს. აკანონმდებლო დაწესებულებაში კოლო მარტო თავის ქვეყნის ინტერესს სდარაჯობდა. ჩვენ კარგათ გვახსოვს თუ როგორის სიმძაფრით გაილაშქრა პოლონელების კოლოს წინააღმდეგ სწორედ იმ კადეტების „რეჩმა", რომელმაც ახლა მიზანში ქართველები და მუსულმანები ამოიღო. კადეტებს არ მოსწონთ, პოლონელებივით ჩვენც რომ მათი ოპეკიდან თავს ვინთავისუფლებთ და დამოუკიდებელის გზით ვფიქრობთ საკუთარ შენებაზე.

დამოუკიდებელი მოქმედება ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირი შედეგია რეალური პოლიტიკის წარმოებისა. რა მოუხდება ჩვენს საქმესა და ჩვენს ინტერესებს ეს ჩვენ უკეთ ვიცით, ვიდრე რომელიმე გადამთიელმა. ამ თვალსაზრისით სრულად ზედმეტია ჩვენგან მოწონებულ რეფორმებს რუსეთის ინტელიგენციის იდეური დასტური ექნება თუ არა. რუსის ინტელიგენციის შეხედულობა და პოზიცია რუსეთის ეროვნულ სახელმწიფოების ინტერესის შეგნებიდან გამომდინარობდეს და ვინ არ იცის რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენი ეროვნულ პოლიტიკური ინტერესი რადიკალურად ეწინააღმდეგა რუსეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ინტერესს?!

ამიტომაც ჩვენ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ, პოლიტიკა, რომელიც შეთანხმებული იქნება ჩვენი ქვეყნის რეალურ ინტერესებთან, იმისდა დამოუკიდებლად თუ რას იტყვის რუსეთის ინტელიგენცია.

**ჯუანშერ**

# დეპეშები

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).**

კურტენგოფის მიდამოებში, რიგის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა.

—

კავკასიის ასპარეზზე რევენდუზთან ომი გრძელდება.

—

ყაზახთა მცირე ჯგუფმა მიპარვით 150 ქურთი ჯარის კაცი ამოჟლიტა.

—

იტალიის ასპარეზზე ლაგარინოს ველებში ავსტრიელებს მედგარი იერიშები მიაქვთ.

—

მორტჰომის მიდამოებში უსასტიკესი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

—

ბელგეთის ასპარეზზე არტილერია სუსტად მოქმედობს.

# თ-დ კ. ა. მუხრან-ბატონის ქვრივის მობრძანება

თბილისში ჩამობრძანდა განსვენებულ თ-დის კონსტანტინე ალექსანდრეს ძის მეუღლე დიდი მთავრინა ტატიანა კონსტანტინეს ასული მუხრანბატონისა. მათი უმაღლესობა უმაღლეს დარბაზობის შემდეგ სასახლეში გაემგზავრა მცხეთას. მცხეთის სადგურიდან იგი ქვეითად წაბრძანდა სვეტი ცხოვლის ტაძარში, სადაც მათ უმაღლესობას მიეგება ტაძრის კრებული და განსვენებულ თავ. კ. მუხრანბატონის საფლავზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. ღამე მათმა უმაღლესობამ გაათია მცხეთის სადგურზე სალონვაგონში. მეორე დღეს, 16 მაისს მცხეთას გაემგზავრა ანტონი ეპისკოპოსი გორისა და ინახულა მათი უმაღლესობა· მათ უმაღლესობამ სურვილი გამოსთქვა ანჩისხატში სალოცავად წაბრძანებისა და ორშაბათს 16 მაისს შუადღის სამ საათზე ავტომობილით მობრძანდა კიდეც ამ ტაძარში. აქ მათ უმაღლესობას კიბეზე მიეგება ყ. დ. სამღვდელო ანტონი, ტაძარში შესვლისას კი დეკ. ნ. თალაკვაძე შემოსილი ჯვრით და ამიაზმის წყლით. ჯვარზე მთხვევის შემდეგ მათ უმაღლესობას მოკლე სიტყვით მიმართა დეკ. თალაკვაძემ. მოახსენა ტაძრის სიძველე—სიწმინდეზე, მისს ისტორიულ—სარწმუნოებრივ მნიშვნელობაზე და სხვათა შორის ისიც, რომ აქ, ანჩისხატის ტაძარში, 1 დეკემბერს 1799 წ. მეფე გიორგი მეცამეტემ და დედოფალმა მარიამმა კოვალენკის და თ-დ გარსევან ჭავჭავაძის თანადასწრებით ფიცი მიიღეს რუსეთის ტახტისადმი ერთგულებაზე და ამ ფიცის ფურცელზე მოაწერეს ხელი. მას შემდეგ ქართველი ერი ერთგულად განაგრძობს ამ ფიცის დაცვას და დღესაც ამ დიად განსაცდელის დროს დიდის თავ-დადებით ეწევა მძიმე უღელს საერთო სამშობლო დაცვაში.

ეს ტაძარი იყო ქართველ დიდებულთა დიდად სათაყვანებელი,—ეს იყო ქართველ კათალიკოზთა კარის ეკლესია აქ იყო ქართული სასწავლებელი, სტამბა და სდუღდა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენი. დღეს დაკნინდა ეს ტაძარი, მაგრამ მაინც იპყრობს მორწმუნეთა სულს და გულს,—აქ ასვენია ხელთუქმნელ პირი ღვთის ცხოველი ხატი, რომელსაც სასოებით თაყვანსა სცემენ ყველანი. მოვედ, თქვენო უმაღლესობავ, ილოცეთ თქვენც აქ დაამშვიდეთ

წმ. ლოცვაში მწუხარებისაგან დათუთქული გული, რომლის თანამოზიარე არის მთელი ქართველობა. ილოცეთ, ღმერთმა გაგიზარდოთ შვილები თეიმურაზი და ნატალია, რომ მათში ჰპოვოთ თქვენ ნუგეში და სიხარული".

მათ უმაღლესობას ამ სიტყვებზე ცრემლი გადმოცვივდა. შემდეგ მცირე პარაკლისისა და მრავალჟამიერობისა, მ. თალაკვაძემ მოახსენა უმაღლეს სტუმარს პირთა ღვთის ხატის ისტორია. დიდის ყურადღებით მოისმინა ყოველივე ესე და ოოხის ნახევარზე წაბრძანდა ტაძრიდან. თან ახლდა მის უმაღლესობას თვისი რძალი ბ. მუხრან-ბატონის მეუღლე.

# ახალი ამბავი

**სასახლეში.** თბილისში ჩამობრძანდა უმაღლესი ქვრივი განსვენებულ თ-დის კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა, დიდი მთავრინა ტატიანა კონსტანტინეს ასული და მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმაღლესი ოჯახობით ინახულა სასახლეში.

**ანჩისხატის საკათედრო ტაძარი** საქართველოს ექსარხოსმა დაათვალიერა და ამ ტაძრის სიწმინდეს—ხელთუქმნელ ხატ მაცხოვრისას თაყვანი სცა.

**საავადმყოფოების აღწერა.** გუშინ, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, საგანგებო კომისიამ, რომელიც მთავრობის წარმომადგენლებისაგანაა შემდგარი ბ-ნ ციგანკოვის მეთაურობით, დაათვალიერა თბილისის ყველა ლაზარეთები და აღწერილობა მოახდინა ყველა საავადმყოფოსი ცალკ-ცალკე.

**ქალთა უმაღლეს კურსების** საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე რათა პრივატ დოცენტებს ერთიან 2 წლის სამოგზაურო ვადა მიეცეთ უმაღლეს სასწავლებლებში დაყენებულ საქის გასაცნობათ.

**პოლიტეხნიკუმის გარშემო.** თბილისში ჩამოვიდა ვარშავისა და დონის როსტოვის პოლიტეხნიკუმების აღმშენებელი ინჟ. როგოისკი, რომელსაც მინდობილი აქვს თბ. პოლიტეხნიკუმის აგება

**სამხედრო სასამართლოში.** კავკასიის სამხედრო-სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა შთამამავლობით საპატიო მოქალაქეთა ჰენრიხ ადოლფ ფორერებისა და ელენენდორფის (ბორჩალოს მაზრა) მოახალშენის ადოლფ კუნისა რომელთაც ბრალდებათ ამღვრეულ წყლის გარევა იმ ღვინოში, რიცხვით 100.000 ვედროში, რომელის სამხრეთ დასავლეთ ნაწილის ჯარების საჭიროებისათვის მომზადება იკისრა ახალშენ ელენენდორფში არსებულ „ფორერის სავაჭრო სახლმა". დამნაშავეთ იცავენ ნაფიცი ვექილნი ს. ზარუდნი, კ. ლ. ჟანო და მ. ა. კლანკი. საქმის განხილვა ერთ ორ დღეს გასტანს.

**თბილისის სამხედრო საოლქო** სასამართლოს მღვდლად საქართველოს ექსარხოსმა დაამტკიცა მღ. კორნილე ელიზბაროვი.

**სეტყვა და ნიაღვარი.** თბ. გუბერნატორის კანცელარიის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ქ. დუშეთსა და მის მახლობელ სოფლებში ძლიერ ღვართქაფ-ქარიშხალს და შემდეგ სეტყვას გაუნადგურებია ბაღები და ბოსტნეულობა, ქალაქში ჩაულეწია სახლების მინები.

დაზარალებულა შემდეგი სოფლები: იკოთი, ჩორჩახი, ქერტისი, ცირი, ველური, წუბენი, არმაზი, ზახორი, წინ ზაქარო, თვითკარი, კოლოტი, გოითკარი ყაბაური და შველეთი. ამავე კანცელარიის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად თბილისის მაზრაში სეტყვას და ნიაღვრებს სულ მთლად წაუხდენია ვენახები და ნათესი შემდეგ სოფლებში: მარტყოფსა, საცხენისსა და პატარძეულში. ზარალი 100,000 მანეთს უდრის.

**სანიმუშე პური.** ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისიამ სანიმუშოდ გამოაცხო პური და აღმოჩნდა, რომ თორნეში გამომცხვარ ერთ ფუთ ფქვილს ემატება $12^3/_4$ გირ., ხოლო ფურნეში გამომცხვარს ემატება $15^3/_4$ გირ. კომისია დარწმუნდა, რომ მეპურეებს შუამდგომლობა პურის ფასის გადიდების შესახებ ყოვლად უსაფუძვლოა.

**სოფლის ნაწარმოებთა გასაღება.** 16 მაისს ქალაქის საბჭოს დარბაზში კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მონაწილეთა კრებას ქ-ნმა ი. ი. ჟორდანიამ (ნოე ჟორდონიას მეუღლემ) ვ[illegible]ცელი მოხსენება წარუდგინა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გასასაღებლად ორგანიზაციების მოწყობის შესახებ. მომხსენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აბრეშუმის პარკის გასაღებას, რომელიც ამიერ-კავკასიის ბევრს კუთხეში სოფლის ნაწარმოების კარგ დარგს წარმოადგენს. კრებამ საგანგებო კომისია აირჩია, რომელსაც დაავალა ეს საკითხი ყოველ მხრივ შეისწავლოს და სურვილი გამოსთქვა, რომ სანამ მწარმოებელთა ორგანიზაციები შესდგებოდეს ამ მნიშვნელოვან საქმის გაძღოლა იკისრონ არსებულმა მომხმარებულმა ორგანიზაციებმა.

**სეირნობა.** ხუთშაბათს 19 მაისს „ხარფუხის კლუბში" დანიშნულია დიდი სეირნობა, მრავალ-ფეროვანი პროგრამით ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ნივთიერად გასაძლიერებლად. დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათიდან. სეირნობის გამგედ ქნ. ან. ნ. ბეგთაბეგიშვილისაა.

**ქალაქის საბჭოს ახალი ხმოსნები** ეცნობიან საქალაქო დაწესებულებათ. ამ დღეებში მათ დაათვალიერეს წყალსადენის მოწყობილობა ავჭალაში, ხუთშაბათს, 19 ამა თვეს, დილის 10 საათზე, შეუდგებიან ქალაქის სასაკლაოს დათვალიერებას.

**ქართული წარმოდგენები.** ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭომ გადასწყვიტა ყოველ კვირაში სისტემატიურად ქართულ წარმოდგენების მართვა მოაწყოს კლუბის საზაფხულო განყოფილებაში. საბჭომ ამის შესახებ უკვე დაასრულა მოლაპარაკება დრამატიულ საზოგადოების დასის მსახიობებთან. წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ტასო აბაშიძე, ვასო აბაშიძე, ვალ. გუნია და სხ.

**დიდი სახალხო სეირნობა ნატარია-ალეგრით.** საბოლაოოდ გადაწყდა, რომ კვირას, 22 მაისს, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართოს „ახალი კლუბის" საზაფხულო ბაღში დიდი სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით. წმინდა შემოსავლის $10^0/_0$ გადაიდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის.

გასართობები ბავშვებისა და დიდებისათვის. პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ტუმბო და სხვა. სეირნობის დროს დაუკრავს ორკესტრი და საზანდარი.

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 2 აბაზი, პატარებისა და მოწაფეთათვის 5 შაური.

**გაზეთები მეომართათვის.** როგორც ვიცით, ქუჩებში მიკრული ყუთები, რომლებშიაც მსურველნი გაზეთებს აგდებენ ჯარისკაცთათვის გაზეთების დათვლის დროს ან სრულებით არ არის ქართული გაზეთები, ანუ ერთობ მცირეა. ქართული გაზეთები კი ერთობ საჭიროა ქართველ მეომართათვის, თუ გინდ ძველი ნომრებიც იყვეს. იმედია მოვიგონებთ ჩვენს ძმებს და შვილებს და არ დავიშურებთ მათთვის ისეთ მცირე შეწირულებას, როგორც უკვე წაკითხული ქართული გაზეთები.

**შიო მღვიმელის** დილის გამმართველი კომისია სთხოვს იმ ბავშვებს, ვიც მონაწილეობა მიიღო 14 თებერვალს სახაზინო თეატრში გამართულ დილაში, აგრედვე სხვებსაც, ვისაც ჰსურს 22 მაისის დილაში მონაწილეობის მიღება,—დაესწრნენ რეპეტიციას, რომელიც გაიმართება დღეს, 18 მაისს, ნაშუადღევის 4 საათ. ახალ კლუბის დარბაზში. შემდეგი რეპეტიცია—ხვალ, 19 მაისს, დილის $11^1/_2$ საათზე, ხარფუხის კლუბის დარბაზში (მიხეილის პროსპექტ. № 131).

**ქალაქის საბჭო.** 16 მაისს ქალაქის საბჭომ დიდხანს იკამათა გამომცხვარ პურის ფასის შესახებ. 35 ხმით წინააღმდეგ 12 სა დადგენილ იქმნა პურის ნიხრი არ შეიცვალოს, ე. ი. 1 გირ. ფურნის პურის დარჩა ისევ 7 კ. ხოლო თორნისა $7^1/_2$ კაპ.

ობოლთა მოსამართლედ არჩეულ იქმნა ისევ 4 წლით მ. ა. სილიევი და წლიურ ჯამაგირად დაენიშნა 3.000 მან. ნაცვლად 2.400 მანეთისა,

ქალაქის აუქციონისტებად (საჯარო ვაჭრობის ხელმძღვანელებად) არჩეულ იქმნენ ისევ გრ. ჩარკვიანი და მ. სუსანოვი. ამათი შრომის ფასი ძველებურადვე დარჩა, ე. ი. თვიურად თითოს 30 მანეთი და თითო პროცენტი საჯარო ვაჭრობაზე შემოსულ ფულისა.

იურიდიულ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ი. მიტკევიჩი, ხოლო ტეხნიკურ კომისიის ა. ს. ბაბოვი.

დადგენილ იქმნა ერთ დროულად მიეცეს: ქალაქის ლომბარდში ნამსახურ პოლიციის მოხელე ბ. აბდალაძის სახლობას 165 მანეთი.

**რედაქციამ მიიღო:** საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" (აპრილის ნომერი), რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის ახალი სურათი. ეს სურათი დახატულია ბარათაშვილის ამხანაგ მიხეილ თუმანიშვილის ხელით. ჟურნალში მოთავსებულია სურათი თამარ-მეფისა ირ. ევდოშვილისა და სხვ....

**დიდი ცეცხლი.** 17 მაისს ღამის $10^1/_2$ საათზე დიდ ვანქის ქუჩის შესახვევში დიდი ცეცხლი გაუჩნდა მიკიჩ პარაჯანოვის სახლს, რომლის ზევითა სართული ცეცხლმა მთლად იმსხვერპლა. ცეცხლის ჩაქრობას ხელმძღვანელობდა თბილისის პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი ზდანოვსკი, რომლის ენერგიით გადარჩა მომიჯნავე დიდი სახლი ქართველიშვილის მემკვიდრეებისა მუხრანის ქუჩაზე, სადაც სამოსამართლო განყოფილებაა მოთავსებული.

## ლადო დარჩიაშვილის პანაშვიდზე

მზე შავის ღრუბლებით იყო პირ აფარებული და ამის გამო თითქო ქვეყანასაც აღარ ჰქონდა მაისისებური სხივოსანი ელფერი, დაღვრემილი იყო გარშემო. თვით ქვაშვეთის სპეტაკი ტაძარიც ოდნავ განათებული მლოცავთა შეწირულის სანთლებით, დიდის ფანჯრებიდგან ბრწყინვალე შუქს მოკლებული ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

ეკლესია თითქმის ცარიელი იყო და მის ახოვან თაღებ შუა სასიამოვნოდ განიბნეოდა მგალობელთა მწყობრი ბავშვთა ხმების ჰარმონია. მწირველიც მხოლოდ ერთად ერთი მოძღვარი იყო, მთავარიც კი არ არღვევდა თავის ჩვეულებრივ ტრაპეზში შესვლა-გასვლით ნამდვილ რელიგიურ განწყობილებას, რომელიც სუფევდა მლოცველთა და წირვის წესის სისადავესთან, პირ იქით უფრო მძლავრად სძრავდა სასოებას, წარტაცებას სულისას ცათადმი.

ეკლესიის შუა გულს მხოლოდ მშობელი, გულ გაგმირული მშობელი ლადოსი იჯდა, რამდენიმე შავით მოსილის მანდილოსნის თანხლებით.

მშობელი იჯდა მგლოვიარედ და ეს მშობლიური მდგომარეობა ისეთი შემზარავი და ღრმა იყო, რომ ყოველი მლოცველი განიცდიდა მის ძლიერებას, მის მწველობას, სიცოცხლას გამანადგურებელ ძალას და მთლად თანაგრძნობად იყო გამსჭვალული, ყველას თვალში ცრემლი კრთოდა ყველას გულში სიბრალული, პატივისცემა, მოწიწება უსაზღრო მწუხარებისადმი! ოხ, მშობლის გულო! ვინ გაზომავს შენი ვაების სიღრმეს, ძრწოლვას, ვის ძალუძს გაითვალისწინოს იმ დედის სულის კვეთა, რომელიც შვილს და მერე იმისთანას შვილს, როგორიც იყო ლადო, კაცი ღვთაებრივ გულკეთილობით აღსავსე, სპეტაკი ზნეობით აღგზნებული საზოგადოებრივის ცეცხლით, ქვეყნის გულის ტკივილით მოწამლული და მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის მტირალი!

და ლადოს დედის უზომო მწუხარება უსაზღრო იყო, მოხუცის ჯანი ვერ იტევდა იმის სულიერ გოდებას და წამ და უწუმ გული მისდიოდა და ლადოს სახელის პატივსაცემად აქ მოსულთ პატივისცემას და სიყვარულს უფრო აღრმავებდა, უფრო რაღაც მოწიწებას და გულთბილობას უმატებდა. დიახ, ლადო დარჩიაშვილის პანაშვიდი ნამდვილი სამგლოვიარო ღაღადი იყო კარგის, ძვირფასის დაკარგულისადმი და არა ჩვეულებრივი პროცესია, საჩვენებელი პარადი, დემონსტრაცია, რომელზედაც ბრბო და საუბედუროთ, ბევრჯელ, რჩეულნიც, მხოლოდ თვალის გასართობად მიდის! თუ თვით ბრწყინვალედ მოწყობილი პარადი ავიწყებს მას დანაკარგის გამო გულის ტკივილს?

ეკ. გაბაშვილისა.

## ახალი ბანკი

კავკასიის სავაჭრო და სამრეწველო ბანკის მთავარ საორგანიზაციო კომიტეტს დიდძალი ხალხი აწყდება. 10 მაისიდან დღემდის თითქმის თბილისის ყველა აქციონერებმა წარადგინეს $40^0/_0$ აქციებისა. 3,725 აქციის ხვედრი გადასახადი ($40^0/_0$) უკვე წარდგენილია მიღებულ ცნობების მიხედვით ასეთივე სისწრაფით შეაქვთ ხვედრი $40^0/_0$ სარაიონო კომიტეტებშიც. გარდა ამისა ბანკის წევრობის ახალი მსურველებიც ბევრნი არიან: თბილისში სურვილი განაცხადეს საორგანიზაციო კომიტეტში ახალ 500 აქციის შეძენისა; აგრეთვე პროვინციებშიაც ბევრია მსურველი ახალ აქციების შეძენისა. საქმის ასე მიმდინარეობის გამო მთავარ საორგანიზაციო კომიტეტის ზოგიერთი წევრები საჭიროდ სთვლიან, რომ ბანკის ძირითადი თანხა გადადებულ იქმნას 3—4 მილიონ მანეთამდე და გამოიცეს 4,000 ახალი დამატებითი აქციები.



ა. სუმბათაშვილი—იუჟინი

## თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილი და საქართველო

**ოთარ ბეგი:** და მეც მივყევი შენს კვალს.
**ზეინაბი:** მაშ სდიე მას, ოთარ, ბოლომდის!
(„ღალატი").

ქართველ ერს მცირედნი-ღა დარჩა სათვალძვირო შვილთაგანი, დამყენებელი მტრის თვალისა და გამხარებელი მოყვრისა; და თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილი ერთი პირველთაგანია მათში; დაბადებული იმ წელს, როდესაც ილიამ და აკაკიმ მწერლობა დაიწყეს (1857 წ.), იგი ოთხმოციანთა თაობისაა და თუმცა ბედმა ანუ უბედობამ არგუნა მას მოსკოვის თალხი მზის ქვეშე ცხოვრება, გარნა თავადი ალექსანდრე არა ნაკლებ ეტრფის თვის მამულს და არა ნაკლები შეუწირავს ეროვნულ სამსხვერპლოსათვის, ვიდრე მის სახელოვან თანატოლთ; და პირმშო წირვა თავ. ალექსანდრეს შემოქმედებისა უკვე დიდი ხანია შეწყნარებულია საქართველოს უფლის მიერ; —მე მოგახსენებთ „ღალატზე"...

—

„ღალატი"—ნათელი გამარჯვებაა თავ. ალ. სუმბათაშვილის ქართული სულისა უცხოელთა მხარეში შეთვისებულ კულტურასა ზედა; თავად ალექსანდრეს მრწამსია, რომ ხელოვანი უნდა იყოს ქურუმი კაცობრიობისა და არა მარტო ეროვნებისა; მას იზიდავს სწორედ წყნარი მხატვარი მსოფლიო მშვენიერების ჰარმონიისა—რაფაელ სანტი და არა შფოთიანი, გახელებული რაინდი იტალეთისა—მიქელ ანჯელო; მაგრამ ნახეთ შურის ძიება ქართული სულისა, რომელიც ფეთქს „ღალატის" ყოველ სიტყვაში და მოქმედებაში; თავ. ალექსანდრეს თქმით იგი ცდიდა „საკაცობრობიო" ჭაშნიკით ყოველ ხაზს, რათა დრამა ერთნაირად შეყვარებოდა ქართველს, რუსს, ინგლისელს; ეს ასეც მოხდა, გარნა თვით დამწერში გაიმარჯვა სწორედ საქართველოს მიქელ ანჯელოსებურმა შფოთიანმა სულმა; არა ისტორიკოსი და არა პუბლიცისტი, მხოლოდ ხელოვანი, ისიც ნამარხულევი სამშობლოზე,—თავადი ალექსანდრე მაინც ეზიარა თავისუფალ საქართველოს სულთქმას; „ღალატში" ცხადყოფილი წარსულ დროთა ინტუიტური შემეცნება აღდგენს მკვდრეთით იმ გმირულ საქართველოს, რომლისათვის, წინასიტყვაობის თქმით, „უძვირფასესია—სჯული და დამოუკიდებლობა".—„მე მსურდა ქართველი ერის ისტორიული ბედის ზოგადი დახასიათება და ამიტომაც არ შევიბორკე განსაზღვრული მომენტით, რომელიც დროულ ფერს მისცემდა მოქმედებასო... ამბობს წინასიტყვით თავადი ალექსანდრე და ამიტომაც „ღალატი" არ არის ისტორიული პიესა, იგი ფილოსოფიურ-ეროვნული დრამაა, რომლის სიმბოლიური სახეებით გამოხატულია საქართველოს ბედითი განგებანი... ბედითია „ღალატში" ყოველივე, თვით სახელწოდებაც კი... ბედითი და მარადიულია სახე ზეინაბისა, რომელიც „პატარა საქართველოს" მეფა თამარიდან გარდიქცა მსოფლიო კეისარის ჰარამხანას ხასათ, რომელმაც საქართველოსათვის ამსხვერპლა თავისი პატიოსნება ხელმწიფისა და ქალისა, რომელიც სცოცხლობდა იმ ნეტარი დღის მოლოდინით, როდესაც გაიღვიძებდა გრძნობა თავისუფალი ადამიანისა ყოველ მონაში და როდესაც მისი ვაჟის წინამძღოლობით იძიებდა შურს განრისხებული ერი... სამარადისო და ბედითია სახე ოთარისა, რომელიც მიჰყვა რა თამარ-ზეინაბის ნაკვლევს, დანებდა სოლეიმანს...—„განა ძალგვიძდა ჩვენისთანა მთვრალთ, სიმღერის მოღრიალეთ, სიცილის და თამაშის მოყვარულთ შებრძოლება სოლეიმანის რკინის ძალასთანო"... გარნა ოთარი შეუდგა თამარ-ზეინაბის კვალს ბოლომდის ანაცვალა „პატარა საქართველო"—„მსოფლიო კეისრის ჰარამხანულ დიდებას"..., ბედითი ცოდვა ღალატისა ჰლუპავს ზეინაბს შვილითურთ, მაგრამ **„მდოგვის მარცვალის ხელა საქართველო"** გამარჯვებულია, რამეთუ საბას თქმით—„ღმერთია მასთან!"...

—

საქართველოს სულით ზიარებამ შექმნა კლასიკური სახელგანთქმულობა „ღალატისა"... თავად ალექსანდრეს ნიჭს ეკუთვნის ამის გარდა მთელი წყება პიესებისა, დაწერილი რუსულად: „მეფე ივანე მრისხანე", „ჩასვლა", „ჯაჭვი", „ძველებური წრთობა", „ალკანზაროვები", „ასული საუკუნისა", „ფოთოლთა შრიალი", „ირინეს საზოგადოება", „ჯენტელმენი" და სხვანი; ყოველი მათგანი კარგათ ცნობილია რუსთა სცენაზე, ზოგიერთი პიესა თარგმნილია ევროპიულ თეატრისათვისაც... განსაკუთრებით საგულისხმოა დრამა „მეფე ივანე მრისხანე": თუ ლერმონტოვმა, გრაფმა ტოლსტოიმ და ასტროვსკიმ დახატეს ივანე მრისხანეს სიცოცხლის დრამის უკანასკნელი წელნი,—თავადმა ალ. სუმბათაშვილმა მოინდომა ივანე მრისხანეს ცხოვრების პირველი ხანის გაშუქება... მაგრამ ქართული ნიჭი შურიანია: თავადი ალექსანდრე ვერ ეზიარა სავსებით რუსთა მეფის ტრაგედიას, თუმც მას გზას უკვლევდა ისეთი რუსი, როგორიც იყო პროფესორი კლიუჩევსკი... და ივანე მრისხანე ალ. სუმბათაშვილისა მიუხედავათ ელვარე მხატვრულ ჩარჩოსი,—უსულოა...

—

თავადი ალ. სუმბათაშვილის შემოქმედება აქამდის მოუწყვეტელი იყო დრამატიულ ხელოვნებაზე; მხოლოდ ახლა, როგორც ვიცი, იგი აპირობს შეეხოს თავისი მადლიანი ხელით ეპოსის დარგსაც; და საბედნიეროდ ამ დაპირებაში ძიებანი მხატვრული ქმნისა და საქართველოს მსახურებისა გარდაწნულან განუყრელად...

აი თავად ალექსანდრეს ნათქვამი ჩემთან საუბრის დროს, საქართველოში წამოსვლისას:—„მე არ ძალმიძს ჯერ ხნობით სხვა გვარი მამულიშვილური მსახურება გარდა ხელოვნებისა და ხელოვნებითა...

„ღალატი"-თ იმას მივაღწიე, რომ ევროპიულ თეატრში დავამკვიდრე საქართველოს დრამა... იგი კლასიკურად იქცა ამ მხრივ რუსეთშიაც და გარედაც... ამ ჟამად მინდა დავწერო ასეთივე კლასიკური ქმნილება ეპოსის დარგში—**რომანი...** აზრად მაქვს გამოვქარგო პირად, წოდებრივ და ეროვნულ ვნებათა ფონზე ქართველი სულის ზოგადი თვისებანი... რომანის ისტორიული ჩარჩოები იქმნება ის ტეხილი ქართულ ეროვნულ ცხოვრების განვითარებისა, რომელიც განვიცადეთ ჩვენ სამოციან და ოთხმოციან წელთა განმავლობაში... მხატვრულ საკერავის მასალა იქმნება: ერთის მხრით მიმავალი ძველი ქართული დიდებული თავადობა; მეორეს მხრით ახალი ძალა—ქართული ინტელიგენცია, გამოღვიძებული ეროვნულ პოლიტიკისათვის; აქვე მეფის ნაცვლის სასახლეს მათრობელი ჰაერი; და სოფელი, ქართველი გლეხობა, რომელიც წვალებით განიცდიდა ახალ ხელმწიფობის ბებიაობას... ყოველივე ეს ცოცხლად სდგას ჩემ მოგონებათა შორის და ელის მხატვრულად გამოსახვას... ხასიათი ჩემი რომანისა იქმნება ტურგენევის[illegible] ქართული სულის დასუ[illegible] მე არ შევიზღუდები ისტორიული სიმართლით, ვინაიდან უფრო ძვირფასია სიმართლე ეროვნულ—ფსიხოლოგიური... და როგორც „ღალატის" წერის დროს ძველი საქართველოს სახენი შეერთენ ჩემგან ახალგაზდობაში განცდილ-ნახულთან,—ასევე რომანის წერის დროს ახალი საქართველოს სახენი გარდაეწნებიან ისტორიიდან გარდმოცემულს"...

— ასეთია განზრახვანი „ღალატის" დამწერისა, რომლსაც გაისად უსრულდება მესამოცე შემოდგომა სიცოცხლისა; და მე ღრმად მრწამს რომ თავად ალექსანდრეს მადლიანი ხელით შექმნილი რომანი კლასიკურად იქნება მიჩნეული არა მარტო ცნობისმოყვარე უცხოელთათვის, არამედ გადმოქართულებული იგი უმალვე დაიკავებს ჩვენ მწერლობაში იმ საპატიო მაგრამ ცალიერ ადგილს, რომელსაც ჰქვია ქართული ეროვნული რომანი და რომლის შობას ელოდა კეთილშობილი სული არჩილისა...

და თუ ბედითი სიმბოლო იყო თვით სახელწოდება თავად ალექსანდრეს ქართული დრამისა,—დაე მის ქართულ რომანს ერქვას... **„დახსნა"**.

რამეთუ ნათქვამია: Das Geschik ist blind, doch der Poet ist gerecht...[1])

გრ. ვეშაპელი.

## „ღალატი" და მსახიობი-ჯენტლმენი

ძნელად თუ მოიპოვება თანამედროვე სათეატრო ლიტერატურაში ისეთი დრამატიულ ტეხნიკის სიძლიერით აგებული ნაწარმოები, როგორიც არის თავ. სუმბათაშვილის „ღალატი". მე არას ვამბობ იდეურ, ლიტერატურულ მხარეზე, ეს ბ. კრიტიკოსების საქმეა. სახეში მაქვს „ღალატი", როგორც დრამა-მოქმედება, როგორც წმინდა სცენიური ხელოვნება. სწორედ ამ მხრივ „ღალატი" დიდებული, უმაგალითო პიესაა. ვამბობ უმაგალითო, რადგან ჯერაც არსად არ მინახავს, გარდა კლასსიკების ნაწარმოებებისა, რომ მოქმედება და კონფლიქტი ისეთი მარტივი მხატვრული პროპორციით იყოს განაწილებული ხუთ მოქმედებაში, როგორც ღალატშია.

ყოველივე დრამატიული ნაწარმოები უპირველესად მოქმედებით, ორგანიულ მოქმედებით განიზომება. თვით „ჰოიდიპოს მეფის" გენიალობა სწორედ მოქმედებიდან წარმოსდგება.

„ღალატი", როგორც დრამა, აშენებულია მთელი თავის ძალღონით მონოცენტრალურ პრინციპზე. ამ პიესაში მოქმედება თავისი დასაწყისით და დასასრულით ერთს ცენტრს, ერთს წერტილს ეყრდნობა. ეს არის ღალატი. ღალატი, როგორც განცდა, როგორც შემოქმედების დედა-ძარღვი. „ღალატში" დრამა მთავარ ცენტრიდან—ღალატიდან პერიფერიებში ღალატთანვე გადადის და ღალატსვე უბრუნდება.

ანანიამ მიტომ შეუცვალა 22 წლის წინეთ თავისი საკუთარი შვილი თამარს, და თამარიც მიტომ დასთანხმდა, რომ საძირკველი ჩაეყარათ ღალატისათვის.

ყოველივე მოქმედება „ღალატში" მთელია შესაფერისი კონფლიქტით დასრულებული. მაგ. პირველი მოქმედება თავდება კათალიკოსის ტრაგედიით, მეორე—ერეკლესთან შეხვედრით, მესამე—დიდებული სცენით ოთართან, მეოთხე—ირაკლის ღალატით და მეხუთე—შედეგით. კერძოთ თვითვეული მოქმედება უკვე პიესაა. მასთანვე ორგანიულად ერთმანეთთან დაკავშირებული.

სცენიური ძლიერება „ღალატისა" კიდევ იმაშია, რომ, როგორც დრამა—მოქმედება თითქოს სთიშავს—სპობს მთავარ ფიგურებს, მომქმედ პირებს. უკანასკნელნი მოქმედებას მისდევენ, მას ხელს უწყობენ. მაგ. ისეთი პირი, როგორც არის ოთარ-ბეგი, მოქმედების აქტივში ოდნავ მხოლოდ მეორე მოქმედებაში გადადის. თვით ზეინაბი პასივია, როგორც შემადგენლობითი სახე დრამისა. ასევეა სხვებიც.

ყველა ეს კი ერთად დრამა „ღალატს" მისტიურ ხასიათს აძლევს. „ღალატი" სცენაზედ მისტერიაა ჩვენი ხალხის, ქართველების, ყოფნა-არსებობისა.

---

[1]) „თუმც ბედი ბრმაა, პოეტია სამართლიანიო".

ზევით მე ვსთქვი, რომ „ღალატი“ მეტის-მეტი სიმარტივით არის აგებული მონოცენტრალურ პრინციპზედ. ეს პრინციპი კი მოითხოვს წარმოდგენის დროს რაც შეიძლება დაბეჯითებით გაშუქებული იყოს ყოველისფერი სცენაზედ ერთის თვალსაზრისით ე. ი. ღალატით. სიარულში, ლაპარაკში, მიზანსცენებში, პლასტიურ განაწილებაში, თვით მომქმედ პირებში ყოველივე წვრილმანში უნდა სჩქეფდეს ღალატის სული. რეჟისორების შემოქმედება სცენაზედ აქ უნდა ჰპოვებდეს სათავეს, აქ უნდა იღებდეს მხატვრულ საკვებს. მთავარი თვალი, რომლითაც მაყურებელნი უნდა უმზერდნენ წარმოდგენას ეს ღალატი უნდა იყვეს. მთელი ატმოსფერა სცენაზედაც ამავე სულით უნდა იჟღენთებოდეს. მაგ. თვით „ჰამლეტი“, სწორედ ამგვარ გეგმაზეა აგებული. ყოველივე მომქმედი პირი შექსპირის ტრაგედიაში უნდა ჩამოქანდაკდეს არა ისე, როგორადაც მე მესმის, მე განვიცდი, არა ეს შემცდარი აზრი იქნება, არამედ ისე, როგორც თვით ჰამლეტი განიცდის, როგორის თვალითაც თვითონ ჰამლეტი უყურებს მის გარშემო შემოკრებილ პირებს. მე, როგორც მაყურებელი, მხოლოდ ჰამლეტის თვალებით უნდა ვუმზერდე წარმოდგენას.

ამგვარადვე უნდა დაიდგას „ღალატი“-ც, ვინაიდან როგორც აქ ისე ჰამლეტშიაც ყოველისფერი ერთი სახით იმოსება.

**ალექსანდრე ახმეტელი.**

(შემდეგი იქნება)

## ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირის დამფუძ. კრება

**15 მაისი**

კრება გაიხსნა დილის 10 ს. დ 10 წუთ. წინადება იქმნა წარმოდგენილი, რომ ზედამხედველ საბჭოს მრავალი მოულოდნელი ხარჯი მოელის და საჭიროა ამ ხარჯების დასაფარავად საკმაო თანხა გადაიდვას. ვინაიდან ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცებული იყო, კრებამ მცირე კამათის შემდეგ დაადგინა აღნიშნულ საჭიროებისათვის ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე გადასდვას 5000 მანეთი.

შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრება შესწყდა და ყველანი წავიდნენ ქვაშვეთის ეკლესიაში განსვენებულ ლადო დარჩიაშვილის პანაშვიდზე.

**საწევრო გადასახადი**

კრება განახლდა ნაშუადღევის 1 საათზე. გადასაწყვეტი იყო საკითხი შესახებ საწევრო გადასახადის შემოტანისა.

წესდების მიხედვით კავშირის წევრებმა თითო თავიანთ წევრის თავზე თითო მანეთი საწევრო გადასახადი უნდა შეიტანონ კავშირში. დამფუძნებელ კრებაზე წარმოდგენილ იქმნა მხოლოდ ხუთ-ხუთი შაური, მაშასადამე დარჩა კიდევ შესატანი ხუთმეტ-ხუთმეტი შაური. კრებაზე კამათი გაიმართა, თუ როდის შემოიტანონ წევრებმა ეს დანარჩენი ფულიო.

ბ-ნი კ. კანდელაკი თხოულობდა, რომ ფულის შემოტანის ვადა ერთი თვე იყოსო. ვინც ამ ვადის განმავლობაში ფულს ვერ შემოიტანს, ვექსილები წარმოადგინონო. ბ-ნი როხლინი თხოულობს, რომ ვექსილები მოკლე ვადიანი იყვეს, რადგან ბანკები მხოლოდ 10 თვის ვადით ახურდავებენ ვექსილებს. ვექსილების ვადა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ზოგიერთი სხვა ორატორები აცხადებენ, რომ რამდენიმე მივარდნილ სოფლის კოოპერატივებს ჯერ კარგად არც კი გაუგიათ კავშირის პირობები, ზოგი კოოპერატივი კიდევ ერთობ ხელმოკლედ არის და ამიტომ ფულის შემოტანის ვადა უნდა გაგძელდესო.

თავმჯდომარემ ხმა ჩამოუტარა სამ წინადადებას: 1 თვის ვადას, ორისას და სამისას. ხმის უმეტესობით 1 თვის ვადა იქმნა დადებული, ხოლო ვინაც ფულის შემოტანას ვერ მოახერხებს, ვექსილები უნდა წარმოადგინონ; ვექსილების ვადას განსაზღვრავს ზედამხედველი საბჭო.

**მოსკოვის კავშირში წარმომადგენლის არჩევა**

საორგანიზაციო ბიუროს სახელით კ. კანდელაკმა მოხსენება წაიკითხა შესახებ იმისა, რომ მოსკოვის საკოოპერაციო კავშირის დიდ ბიუროში გასაგზავნად საჭიროა რწმუნებულების არჩევაო. არჩეული უნდა იყვეს 4 კანდიდატი, რომელთაგან მოსკოვის კავშირი მხოლოდ 1 კაცს გამოარჩევს.

კრებამ შეიწყნარა წინადადება და დაადგინა იმავე დღესვე აერჩია კანდიდატები.

**შემდეგი საზოგადო კრების ადგილი**

წესდების 32 მუხლის მიხედვით, ჩვეულებრივი წლიური კრება რწმუნებულებისა უნდა შესდგეს თიბათვეში იმ ადგილას, რომელიც დანიშნულია წინანდელი კრებისაგან. ამ მუხლის მიხედვით კრებაზე კამათი ატყდა, თუ სად გამართოს მომავალ წელში კრება. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ რადგან დასავლეთ საქართველოდან მეტი წევრები ჰყავს კავშირს, კრება ქუთაისში უნდა გაიმართოსო. სხვები კი თბილისს არჩევდნენ და ამტკიცებდნენ, რომ თბილისი ცენტრია ამიერ კავკასიისა. აქ შეკრება საჭიროა რწმუნებულთათვის ბევრგვარ მოსაზრებითო. ზოგნი კიდევ ამბობდნენ, რომ ამ ჟამად თუ ნაკლები წევრებია აღმოსავლეთ საქართველოდან და საერთოდ ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ მხრიდან, ადვილი შესაძლებელია, შემდეგში აქედან მომეტებული წევრები დარჩენო. ამათ საპასუხოთ მოწინააღმდეგებმა განაცხადეს, რომ ჯერ-ჯერობით არაეითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ მხრიდან მეტი მონაწილენი იქნებიან კავშირში, პირიქით ეხლანდელი მდგომარეობის მიხედვით თუ ვიხელმძღვანელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ მხრიდან კიდევ უფრო იმატებს წევრთა რაოდენობაო.

კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რომ მომავალი წლიური კრება ისევ თბილისში მოხდეს.

**ერთსა და იმავე რაიონში ახალი კოოპერატივების გახსნის შესახებ**

ზესტაფონის კოოპერატივის „ერთობის რწმუნებულმა ბ-ნმა ბერიძემ შემდეგი საჩივარი წარუდგინა კრებას:

მიუხედავად იმისა, რომ „ერთობა“ უკვე მოქმედებდა ზესტაფონში და თავისი განყოფილებაც ჰქონდა შორაპანში, ბ-ნმა ი. გუნცაძემ განიძრახა მეორე „საგლეხო“ კოოპერატივის დაარსება და ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე. „ერთობის“ ხელმძღვანელნი მივიდნენ ბ-ნ გუნცაძესთან და სთხოვეს, რომ მას ხელი აეღო თავისს განზრახვაზე. გუნცაძემ მათ უპასუხა, რომ ჩვენი ამხანაგობის წესდება უფრო ფართო შინაარსისაა, რადგან იგი მთელ მაზრას შეიცავს, თქვენი ამხანაგობა-კი წესდების ძალით ზესტაფონს ვერ გაშორდებაო. ამიტომ ჩვენს „საგლეხო“ კოოპერატივს უპირატესობა აქვს „ერთობაზე“ და სამართლიანობა მოითხოვს ეს უკანასკნელი შეუერთდეს მასო. დამტკიცებული წესდება მიიღო ბ-ნმა გუნცაძემ და დამფუძნებელთა კრება გაიმართა. ამ კრებაზე მივიდნენ „ერთობის“ წევრები და ამხანაგობაში წევრებად მიღება ითხოვეს. მაგრამ „საგლეხო“ კოოპერატივმა მათ უარი უთხრა და კრების დარბაზიდან ითხოვდნენ. როცა „ერთობის“ წევრნი გარეთ არ გამოვიდნენ, „საგლეხო“ ამხანაგობის ხელმძღვანელებმა პოლიციას დაუძახეს და მათი დახმარებით გამოაძევეს ურჩი სტუმრები.

ამის გამო ბ-ნი ბერიძე თხოულობდა თავის მარწმუნებელთა დადგენილების თანახმად, რომ კავშირის კრებამ სასტიკი ღონისძიება იხმაროს ახალ კოოპერატივის წინააღმდეგ.

ზოგიერთმა სხვა წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ ხშირია ასეთი მოვლენა სხვა სოფლებშიდაც. ერთსა და იმავე რაიონში, საცა უკვე ერთი კოოპერატივი მოქმედებს, იქვე მეორეს და მესამეს აარსებენ, ამ რიგად მათ შორის იმართება ქიშპობა და ერთმანეთს ჰლუპავენო.

კრებამ დაადგინა, რომ სასტიკი ღონისძიება იქმნას მიღებული, რათა ერთსა და იმავე რაიონში ახალი კოოპერატივი არ დაარსდეს.

**არჩევნები**

1) ჯერი მიდგა არჩევნებზე. მოსკოვის კავშირის დიდ ბიუროს კანდიდატებად კენჭის უყრელად არჩეულ იქმნენ: კ. კანდელაკი, ვ. როხლინი, ევ. დარჩია და პ. გელეიშვილი.

2) კავშირის გამგეთ დასახელებულ იქმნა რამდენიმე კაცი. მათ შორის კენჭის ყრის სურვილი განაცხადეს დ. კახელაძემ და ევ. დარჩიამ. პირველს მათგანს ამოუვიდა 130 თეთრი და 25 შავი კენჭი, ხოლო მეორეს 130 თეთრი და 24 შავი.

3) ზედამხედველ საბჭოს წევრების სია გამოაცხადა გრ. ურატაძემ და განაცხადა, რომ ეს სია სხვა და სხვა ჯგუფთა შეთანხმებით შესდგაო. სიაში შეტანილი იყვნენ: კ. კანდელაკი, პ. გელეიშვილი, ვ. როხლინი, შ. ქარუმიძე, შ. გოგებაშვილი, ბ-ნი მხჩიანცი და ს. ცხომელიძე.

ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ ასეთი შეთანხმება ბევრმა არ იცისო და კანდიდატთა სიაში სხვებიც შეიტანეს, რომელთა შორის კენჭის ყრაზე თანხმობა განაცხადეს ს. მაჭავარიანმა, ს. დადიანმა და თ. ღლონტმა.

არჩეულ იქმნენ: 1) კ. კანდელაკი (148 თ. 07 შ.), 2) პ. გელეიშვილი (120 თ. 35 შ.), 3) ვ. როხლინი (142 თ. 13 შ.), 4) შ. ქარუმიძე (135 თ. 20 შ.), 5) შ. გოგებაშვილი (131 თ. 24 შ.) და ს. ცხომელიძე 111 თ. 44 შავი).

თ. ღლონტს ამოუვიდა 102 შავი და 4 თეთრი კენჭი, ს. მაჭავარიანს 90 შავი და 66 თეთრი და ს. დადიანს 97 შავი და 64 თეთრი.

4) კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: 1) ა. კორძაია (113 თ. 42 შ.), 2) ი. ლომაძე (116 თ. 39 შ.) და 3) ბ-ნი აზატიანი (115 თ. 40 შ.).

კენჭის ყრის დროს ცოტა ინციდენტი მოხდა. ბ-ნმა პ. გელეიშვილმა განუცხადა თავმჯდომარეს, რომ ასისტენტი ბ-ნი ძიძიგური ჩემს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა და ურჩევს რწმუნებულებს შავი კენჭი ჩამიგდონო. თავმჯდომარე ამის შესახებ შეეკითხა ბ-ნს ძიძიგურს, რომელმაც უარჰყო ბრალდება და მოწმედ მასთან მდგარი მეორე ასისტენტი დაასახელა. თავმჯდომარემ ამით მოსპო კამათი ინცინდენტის შესახებ. როცა კენჭები დათვალეს და ბ-ნი გელეიშვილი გათეთრებულ აღმოჩნდა ბ-მა ძიძიგურმა მოითხოვა დაესახელებინა გელეიშვილს ის კაცი, რომელმაც მას ყალბი ცნობა გადასცა. მაგრამ თავმჯდომარემ ამ საგნის შესახებ ლაპარაკის ნება აღარავის მისცა.

**კრების დასასრული.**

თავმჯდომარემ ბ-ნმა ნ. ელიავამ კრების სახელით მადლობა გამოუცხადა მოსკოვის სახალხო ბანკისა და მოსკოვის კავშირის წარმომადგენელთ, რომელნიც კრებას დაესწრნენ და თავიანთი რჩევა-დარიგებით მუშაობა შეუმსუბუქეს კრებას, მადლობა გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, რომელმაც დარბაზი დაუთმო კრებას და ყოველმხრივ ხელი შეუწყო, აგრეთვე მადლობა გამოუცხადა საორგანიზაციო ბიუროს, რომელმაც თავისი მუყაითობით მკვიდრი საფუძველი დაუდო კავშირს და ბოლოს თავისს მხრივ მადლობა გამოუცხადა კრებას, რომელმაც მას პატივი სცა და თავმჯდომარედ აირჩია. ბ-ნი ელიავა შეეხო კრების მუშაობას და გრძნობიერი სიტყვით აღნიშნა მისი საქმიანობა და იმედი გამოსთქვა, რომ დაწყებული საქმე ღრმად გაიდგამს ფესვს ჩვენს ქვეყანაში დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს.

კრებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი.

შემდეგ კრებამ მადლობა გადაუხადა ბ-ნს ელიავას თავმჯდომარეობისათვის და დაიშალა საღამოს 7 საათზე.

## ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო

**სამძიმრის დეპეშა.**

**ჟიტომირი.** ქართველთა ჯგუფი უერთდება საქართველოს მწუხარებას ძვირფას მგოსან ევდოშვილის გარდაცვალების გამო.

მოწყალების და ნადო კაპანაძე, ექიმი მაჰარაძე, კარგარეთელი, ურუშაძე, ხუნგია და სხვანი.

## შემოწირულება

რედაქციამ მიიღო ძმ. მოსე და გიორგი ხელაშვილებისაგან 5 მანეთი ევდოშვილის ოჯახის სასარგებლოდ და 5 მანეთი ქარ. კულ. საზ. სასარგებლოთ.

## მე-11 ლაზარეთი

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მეთერთმეტე ლაზარეთში ამაშფოთებელი ამბები ჰხდება. ამ ლაზარეთის ვინმე უფროს ექიმის ბ. ქამოიანცის თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ლაზარეთში აუარებელი უწესოება ჰხდება, მრავალჯერ მიუმართნიათ სადაც ჯერ იყო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ.

როგორც გადმოგვცეს ექიმ ქამოიანცის ყოვლად შეუწყნარებელ დაუდევრობის, თვითნებობისა და უხამსობის მამხილებელი ყოფილა ქ-ნი ელ. დეკ—შვილი, რომელსაც ამის გამო მრავალი უსიამოვნება შემთხვევია.

ხშირად ლაზარეთში ყოვლად აუტანელ უწესოებას ჰქონია ადგილი. ავადმყოფებს საჭმელი არ ჰქონიათ. უდუღარ წყალს ასმევდნენ. მოსამსახურენი უწესოდ იქცეოდნენ. მაგრამ სხვა მრავალ უწესოებასთან ერთად მესარეცხის თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. და ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ყოფილა შემთხვევა, რომ მთელი კვირაობით ავადმყოფნი საცვალს ვერ იცვლიდნენ. ან და სარეცხს მოიტანდნენ და მკბენარით სავსე იყო. ხან სარეცხიც დაიკარგებოდა და სხვა. თითქმის ყოველ დღე უკმაყოფილების ხმა ისმოდა მესარეცხეობის გამგის წინააღმდეგ. ავადმყოფებმაც კი იჩივლეს, მაგრამ უფროსმა ექიმმა ბ-ნ ქამოიანცმა ყურადღება არ მიაქცია. ამ ლაზარეთის დიასახლისმა ელ. დეკ—შვილმა ამ გარემოებას არა ერთჯერ მიაქცია უფროსის ყურადღება და როდესაც არაფერი გაუვიდა სასტიკად დაჰგმო მესარეცხის მოქმედება... მას დასდეს მსჯავრი და საჭიროდაც კი არ დაინახეს საქმის ვითარება გამოერკვიათ, რადგან ამ საკითხის გამორკვევას ბევრი უწესოების გამომჟღავნება მოჰყვებოდა და ფარდა აეხდებოდა უფროსისა და ბევრი სხვა პირის ურიგობას. შეადგინეს ოქმი დიასახლისის დასათხოვნად. უფროს ექიმს ბ. ქამოიანცსაც ეს უნდოდა. ლაზარეთის ფხიზელი დარაჯი და უწესოებათა მხილებელი ელ. დეკ—შვილი სასურველი პირი ვერ იქნებოდა მისთვის. უფროსმა ექიმმა ქამოიანცმა დაიბარა ქ-ნი ელ. დეკანოზიშვილი და თავხედურად დამცინავის კილოთი წაუკითხა დათხოვნის ოქმი, რაც დიასახლის ქალს ვერ აუტანია და სილა უტკიცნია. ნუთუ ლაზარეთებს პატრონი არა ჰყავს, რომ ასეთ უწესოებასა და სცენებს ადგილი არა ჰქონდეს?!

## აჭარიდან

**(სოფ. ქვემო აგარა)**

სოფ. ქვემო აგარა ქედიდან 6 ვერსზე არის, მთის ძირას. ამ მთის გადაღმით სოფ. ჩაქვის თავია. ბევრი აჭარელი ცხენით და ფეხით აგარის გზიდან გადადის რკინის გზის სადგურ ჩაქვამდე და მერე ქობულეთამდეც.

ამ რიგად ამ გზის მეოხებით აგარლებს ხშირი დამოკიდებულება და მეზობლობა აქვთ ქობულეთლებთან, ამის წყალობით აიხსნება ის სასიამოვნო გარემოება, რომ აგარელები ნაკლები ფანატიკოსები არიან და ქართველებთან დაახლოება და წერა-კითხვის შესწავლა გაქრისტიანება არ ჰგონიათ. აგარა, როგორც მისი სახელწოდებიდან სჩანს, სააგარაკო ადგილია. ამ გვარიან მოზრდილ სოფლში (ორი ჯამე აქეთ) უმთავრესად ცხოვრობენ დევაძეები. დევაძეები მოგახსენებენ, რომ მათი ძველი, ორი ძმა, აზნაური გადმოსულა გურიიდან. (გურიაში ამ გვარის აზნაურები არ არიან, არის მხოლოდ რამდენიმე მოსახლე გლეხი დევიძე). აქაურები ძლიერ მკვირცხლი, ჩქარი მოლაპარაკე და იშვიათი სტუმართ მოყვარულნი არიან. ისინი თითქმის არაფრით განირჩევიან ქობულეთლებისაგან. ხალხური სიმღერაც გვარიანად იციან და კიდეც უყვართ.

მარტში ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აქ გახსნა სკოლა. მასწავლებლად არის ბ. ნიკო გეგელია (სამეგრელოდან). 30 აპრილს შემთხვევით მოვხვდი აგარაში. ამ დღეს სკოლას შეუსრულდა თავის არსებობის 24 დღე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში ბ-ნ გეგელიას მცხოვრებთა სრული ნდობა და სიყვარული დაუმსახურებია და სკოლაშიაც მუყაითობა და უნარი გამოუჩენია. მოწაფეებს გაუვლია 15 ასო (ასო ფ-დე). მოწაფეთა და მასწავლებელს შორის სიყვარული, თავაზიანობა და პატივისცემა სუფევს. გესიამოვნება, როცა ხედავ, რომ დილით სკოლაში მოსული პატარა აჭარელი მასწავლებელს (და მის სტუმრებსაც) თავაზიან სალამს აძლევს. სკოლა ნაქირავებ პატარა და შეუფერებელ ოთახშია (დროებით) მოთავსებული. სულ სწავლობს 44 მოწაფე, მათში 10 ქალია (მეზობელ ქედის სკოლაში არც ერთი ქალი არ სწავლობს). სკოლაში თურმე ხშირად მოდიან მოწაფეთა დედები და დები, რომლებიც ოთახიდან უყურებენ, თუ როგორ ასწავლის მასწავლებელი. გასათხოვარი ქალები პატარა მოწაფე „ციცებს“ (გოგოებს) შურით უყურებენ და თავიანთ გაჩენის დღეს სწყევლიან— სწყინთ, რომ ისინიც სასკოლო ასაკის არ არიან და სკოლაში არ სწავლობენ... საწყენად არ ვამბობ, მაგრამ მასწავლებელი ვერაფერი კარგი მომღერალია. მიგრამ მას მაინც უსწავლებელია მოწაფეთათვის რამოდენიმე საბავშო სიმღერა. როცა მოწაფეები სკოლიდან დაბრუნებულნი სოფელს სიმღერითა და ჟრიამულით მოეფინებიან ქალიან-კაციანებ ყველა მათ შეხარის. დავსტკბი და გავიხარე როცა თოხით მომუშავე პატარა აჭარლები სასკოლო სიმღერას მღეროდნენ. ასეთ მომღერალ მოწაფეებს გურიაში შეხვდებით. მასწავლებელი მოწაფეთა რვეულებს სკოლაში იტოვებს, მაგრამ მოწაფეები ხშირად სთხოვენ სახლში გაგვატანე და „ნენა-ბაბას“ უჩვენებთო ისიც კვირაში ერთხელ სახლში ატანს. ყოველ ჯუმა (პარასკევს) დღეს მასწავლებელი ხან ერთ ჯამეზე არის ხან მეორეზე და შეკრებილ ხალხს წიგნებსა და „გაზეთებს“ უკითხავს. მთავრობის სკოლიდან თუ მოწაფეები ყანის მუშაობის დროს მასწავლებლის დაუკითხავად გამოყავთ სკოლიდან და გაკვეთილებს აცდენენ, აქ მასწავლებლის ხათრით ასე არ იქცევიან, არამედ მოდიან მშობლები და მასწავლებელს სთხოვენ რამდენიმე დღით მოსწავლეს ნება მიეცეს ოჯახში წამუშავების. ეს წელს აუცილებელია, რადგან აქედან მუშები გაიყვანეს ზოგი სახელმწიფო გზის საკეთებლად (ქირაზე, არა იძულებით) და ზოგიც შავშეთ-აჭარის გზაზე (ბეგრით).

მიუხედავათ სკოლაში ასე მუყაითი შრომისა მასწავლებელი წერა-კითხვას ასწავლის დიდრონ მოწაფეებს. აი მათი სახელი და გვარი: ისმაილ ეფენდი დევაძე—ხოჯა—შეიხი,*) ნური ეფენდი დევაძე, ხოჯა, მეხმედ დევაძე—მოლა ახმედ დევაძე (სკოლის მსახური) ოსმან დევაძე, დურსუნ დუმბაძე, აბაზ დევაძე, თუფან დევაძე, ომერ დევაძე, ხულუს დევაძე, ხასან დევაძე, მახმუდ დევაძე, მეხმედ თებიძე, გარდა ამისა ჩაწერილია კიდევ სამი კაცი. სრული იმედია ეს პირები სიყოჩაღეს გამოიჩენენ, ქართულ წერა-კითხვას შეისწავლიან და ამ სკოლას თვით ეპატრონებიან. ქართული წერა-კითხვის შესწავლა, რომ დიდათ არის საჭირო ეს იქიდან სჩანს, რომ აქაურ ქალებს კარაბადინი (სამკურნალო წიგნი) ქართულად აქვთ ოსმალური ასოებით დაწერილი. უმადურობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ აჭარის სკოლის წარმატებას დიდათ უწყობს ხელს მამასახლისი ბეგი ბეჟანიძე, მწერალი ბ. ლევ. მ. მენაბდე, ადგილობრივი ხოჯები, ალი-ოსმან-აღა დევაძე და სხვები. ამათი დახმარებით იმედია სკოლას სექტემბრიდან საკუთარი შენობა ექნება.

**გურული სტუმარი**

## დაბა-სოფლები

**დ. ჩოხატაური.** პარასკევს, მაისის 6-ს მოხდა ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ადგილობრივ განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელიც იყო სრული სურათი იმ ქიშპობისა, რომლის არა ერთი მაგალითი დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას და ხალხთა სულისა და რწმენის კეთილ ნაყოფიერებას საამო მსვლელობას უკარგავს და თვით საქმეს უკეთურების გზაზე აყენებს. თავმჯდომარის არჩევიდან დაწყებული კრების წევრთა უკანასკნელ სიტყვამდე დიდი შეჯახ-შემოჯახება იყო.

მთავარი გამგეობის მოწერილობიდან სჩანდა, რომ დამფუძნებელ კრების განაჩენს, შესახებ განყოფილების გახსნისა, ხელს უნდა აწერდეს არა ნაკლებ ოცდა-ათი კაცისა. ასეთ რიცხვს კი თავი არ მოეყარნა, თუმცა დამფუძნებელ წევრებად ამ რიცხვის უმეტესი იყო ჩაწერილი და მთავარი გამგეობისაგან წარმოგზავნილი შესაფერი კვიტანციებიც ჰქონდათ. სწორედ ამის გამო ერთი ნაწილი კრების გადადებას მოითხოვდა იმ საბუთით, რომ მომავალ კვირეს ყველა ნამდვილი წევრი დაესწრება და გამგეობასთან მიწერა ჩვენი სურვილისა უფრო საბუთიანი და მიზან შეწონილი იქნებაო. მაგრამ თავი მოუყარეს ისეთ პირთ, ვის წინააღმდეგაც სხვა დროს იბრძვიან, რომლებიც ვაჭრული ხრიკით ხალხს დღეებს უმწარებენ.

ასეთი ხმის უმრავლესობითა და მათგვარ წევრთა მიღებით აირჩიეს დროებითი გამგეობა, რომელშიაც ზოგნი ისეთნი მოხდნენ რომელთაც, თავისი თანამდებობის სასურველად შესრულება არ შეუძლიანთ.

ისინი აირჩიეს მხოლოდ პარტიული ჟინიანობით. ამავე დროს-კი გააშავეს გრ. თავდგირიძე, რომელიც ყოველ საკულტურო საქმეს სათავეში უდგია და რომელიც ამ საქმის პირველი დამწყები იყო. მას მხოლოდ საქმის კეთილდღეობა აინტერესებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამგეობის ზოგიერთი წევრი უფრო კარგი მცოდნე წევრებით მალე შეიცვლება.

**მიშო.**

—

*) შეიხი“ ბერი, „მოლა“ ხოჯის მოწაფე, რომელიც შემდეგში ხოჯათ უნდა გახდეს.

გ. ს.

**სოფ. ბაზალეთი.** მაისი უბედური თვე იყო მთელი დუშეთის მაზრისთვის. ამ თვის ათში ნაშუადღევზე უეცრივ ჩამობნელდა და საშინელი სეტყვა წამოუშინა, რამაც ერთიანად ჩარეგვა და გაატიალა არე-მარე. ავდარმა და ქარბუქ-სეტყვამ მთელ დღეს გასტანა. მართალია, წინადაც იყო ავდრიანობა, მთელი ერთი კვირის განმავლობაში გაცინებული მზე არ დაგვინახავს, მაგრამ რაც მოხდა ათს მაისს ეს ყოველისფერს აღემატებოდა. ყანები ყანებს აღარა ჰგავს, ვენახი და ბაღი. მტრის თვალსაც არ ენახება ასეთი ყოფა. გული სტირის. გლეხობა სასოწარკვეთილებას ეძლევა ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას ამ უბედურობის შემდეგ როგორ აუვიდეს· ათ მაისიდან ნაომარი ბუნება ნიაღვარს მოაქუხებს და თან მიაქვს ჩვენი დოვლათი, ჩვენი ოფლით მონაგარი, ჩვენი სისხლით ნაწური ნამუშევარი. ცა და ქვეყანამ ჩვენზე მოიცალა. ვინ იცის, იქნება რამე სიკეთე ამდენი უბედურობის შემდეგ? არა გვჯერა...

**ბაზალელი გლეხი.**

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ხაშური.** 5 მაისს გაიმართა თამარის დღის აღსანიშნავად საღამო, რომელიც პირველ მაისს ვერ მოხერხდა. დასდგეს კ. მესხის დრამის „შოთა რუსთველი“-ს მეოთხე მოქმედება. კარგი იყო თამარის როლში ქ-ნი ბახტაძის ასული, არა უშავდათ აგრეთვე შოთას (ა. ქუთათელაძე) და ლიპარიტს (სვ. დევდარიანი) დანარჩენნი ანსაბლს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენის წინ წაიკითხეს ორი ლექცია. პირველი ლექცია „თამარი და მისი დრო“ წაიკითხა ადგილობრივი სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელმა კ. გაგუამ, ხოლო მეორე „შეხედულობა სიყვარულზე შოთა რუსთაველის და თანამედროვე მწერლების“ წაიკითხა ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა ქ-ნმა ყიფშიძემ. ორთავე ლექცია შინაარსიანი გამოდგა და ლექტორნი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. სცენას ამშვენებდა თამარის დიდი სურათი ყვავილებით მორთული. ანტრაქტებზე გალობდა ბორჯომიდან მიწვეული ბ. თალაკვაძის გუნდი. დაბოლოს დაიდგა ცოცხალი სურათები: თამარ, ქეთევან და ნინო (სიზმარი). საღამომ კარგად ჩაიარა. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა.

**გ.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.